

სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს
ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული
სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
ავტომობილი - ფურგენი	18

მახასიათებლები

ძირითადი მოთხოვნები:

ძარის ტიპი	ფურგენი, უკან დახურული, შუშების გარეშე. (გადაღობვა სამგზავრო და სატვირთო არეს შორის)
ძრავი	1.3 მ3 ან მეტი, (დიზელი) 1.3-2 მ3 (ბენზინი)
საწვავის ტიპი	სასურველია დიზელი
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური
ტვირთამწეობა	500 კგ-დან ზევით
კარის განლაგება	უკან
ფერი	თეთრი (სასურველია)
გაბარიტები	სიგრძე არაუმეტეს 4.5 მ.
საჭის მდებარეობა	მარცხენა

დამატებითი მოთხოვნები:

კონდიციონერი	სავალდებულოა
ცენტრალური საკეტი	სავალდებულოა
სალონის ფეხსაგები ხალიჩა (რეზინა)	1 კომპლექტი
წინა და უკანა პარკინგ სენსორები	სავალდებულოა
უკანა ხედვის კამერა მონიტორით	სავალდებულოა
გარანტია: 5 წელი ულიმიტო	ან 150000 კმ.

ავტომობილის საგარანტიო პერიოდში საჭირო სათადარიგო ნაწილების ფასთა ცხრილი

დასახელება	განზ.	პროდ. ღირ.	მომს. ღირ.	მომსახურების მიღების დრო	სიხშირე კმ.
ძრავის ზეთი	ლიტრი				
ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი				
ჰაერის ფილტრი	ცალი				
წინა სამუხრუჭე ხუნდი	კომპლექტი				
უკანა სამუხრუჭე ხუნდი	კომპლექტი				
კონდიციონერის ფილტრი	ცალი				
აალების სანთლები	კომპლექტი				
საწვავის ფილტრი	ცალი				
წინა საყრდენი დისკი	ცალი				
უკანა საყრდენი დისკი	ცალი				
საბურავის დამლა, აწყობა, დაკერება, ბალანსირება	ცალი				
თვლების შეკრა	ცალი				
ამორტიზატორი წინა	ცალი				
ამორტიზატორი უკანა	ცალი				
სალონის ფილტრი	ცალი				

შენიშვნები:

- მომსახურების მიღება საგარანტიო ნაწილებზე შესაძლებელი უნდა იყოს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1-** კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2-** ფასების ცხრილი
 - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ევროში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
 - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3-** განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით
კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 21/11/2022 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;
- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;
- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.
- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.